

962



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის



უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 25 (185)

10 სექტემბერი

1962 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი


სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენი-
ლებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

- 391. შეთანხმება თევზჭერის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და ნორვეგიის სამეფოს მთავრობას შორის.
- 392. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებისა და სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ნუსხაში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლებიც ძალადაკარგულად არიან ცნობილი.
- 393. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლაოსში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ა. ნ. აბრამოვის გათავისუფლების შესახებ.
- 394. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლაოსში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩად ს. ა. აფანასიევის დანიშვნის შესახებ.
- 395. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბელგიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ს. ა. აფანასიევის გათავისუფლების შესახებ.

განყოფილება მეორე

- 396. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედას“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 397. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ბ. გ. ეგოროვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.



398. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მოლდავეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ი. ს. გროსულის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

სსრ კავშირის
უმაღლესი
საბჭოს
პრეზიდიუმი
გამოცემის
ნომერი

**საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
ბრძანებულებები და დადგენილებები**

განყოფილება პირველი

399. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა შეტანის შესახებ.
400. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის ამხ. გ. ყ. იოსავას გათავისუფლების და ახალი მოსამართლის არჩევნების შესახებ.
401. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის შტატგარეშე ინსტრუქტორებისა და კონსულტანტების დამტკიცების შესახებ.

განყოფილება მეორე

402. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საბატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
საინფორმაციო ცნობა.

განყოფილება პირველი

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

391 თევზჭერის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და ნორვეგიის სამეფოს მთავრობას შორის

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა და ნორვეგიის სამეფოს მთავრობა,

ხელმძღვანელობენ რა სურვილით განავითარონ და განამტკიცონ კეთილმეზობლური ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის და უზრუნველყონ ჩრდილოეთის წყლებში თევზის რეწვის ურთიერთინტერესები,

შეთანხმდნენ ქვემოთყვანილზე:

მუხლი I

ამ შეთანხმებაში:

- a) გამოთქმა „მილი“ გულისხმობს საზღვაო მილს (1852 მეტრს);
- b) გამოთქმა „ხომალდი“ გულისხმობს ყოველნაირ ხომალდს ან ნავს, რომელიც თევზის რეწვას ეწევა.

მუხლი II

ამ შეთანხმების ძალაში შესვლის მომენტიდან 1970 წლის 31 ოქტომბრამდე ნორვეგიის სამეფოს მთავრობა ნებას რთავს თევზსაჭერ ხომალდებს, რომლებიც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში არიან რეგისტრირებული და რომელთა ეკიპაჟი საბჭოთა მოქალაქეებისაგან შედგება, აწარმოონ თევზის რეწვა ნორვეგიის თევზჭერის ზონაში 6 და 12 მილს შორის იმ საწყისი ხაზებიდან, საიდანაც იწყება ნორვეგიის ტერიტორიული წყლები.

ქაგრამ ქვემოაღნიშნულ რაიონებში შეთანხმების დამდები მხარეების ხომალდებს შეუძლიათ აწარმოონ თევზის რეწვა მხოლოდ დასამაგრებელი და ხელის იარაღებით:

ანდენესი: აღმოსავლეთის გრძედის $15^{\circ} 25'$ -დან 16° -მდე მთელი წლის მანძილზე;

ვესტროლენი: ჩრდილოეთის განედის $69^{\circ} 12'$ -დან $69^{\circ} 18'$ -მდე 16 მაისიდან 14 თებერვლამდე, ორივე თარიღის ჩათვლით;

გრიმსბაკენი: ჩრდილოეთის განედის 69° 43'-დან 69° 47'-მდე 1 დეკემბრიდან 15 აპრილამდე, ორივე თარიღის ჩათვლით;

ფუგლიეზანკენი: აღმოსავლეთის გრძედის 19°-დან 19° 30'-მდე 1 დეკემბრიდან 15 აპრილამდე, ორივე თარიღის ჩათვლით.

მუხლი III

ამ შეთანხმების II მუხლით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა ნებას რთავს თევზსაჭერ ხომალდებს, რომლებიც ნორვეგიის სამეფოში არიან რეგისტრირებული და რომელთა ეკიპაჟი ნორვეგიის მოქალაქეებისაგან შედგება, აწარმოონ თევზის რეწვა საბჭოთა ტერიტორიულ წყლებში ვარანგერ-ფიორდში; თევზჭერის ზონა ნაპირიდან დაშორებულია 6-დან 12 მილამდე მანძილით და შემოფარგლულია სამხრეთიდან იმ ხაზით, რომელიც გასდევს საბჭოთა სანაპიროს 6 მილის მანძილზე ნაპირიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან — იმ ხაზით, რომელიც 6 მილის მანძილზე გასდევს საწყის ხაზს, საიდანაც იწყება საბჭოთა ტერიტორიული წყლები და რომელიც ყურე „დოლგაია შჩელის“ შესავალთან წამოშვებულ კონცხს კუნძულ „ბოლშიი აინოვის“ ჩრდილო-დასავლეთი კიდურის გავლით აერთებს ნახევარკუნძულ „რიბაჩის“ კონცხს „ნემეცკისთან“, და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან — იმ ხაზით, რომელიც აერთებს კონცხს „ნემეცკის“ კიბერგნეს კონცხთან, როგორც ეს ნაჩვენებია ამ შეთანხმებისათვის დართულ რუკაზე.*

მუხლი IV

ამ შეთანხმების II და III მუხლებით გათვალისწინებულ ზონებში თევზის რეწვა უნდა წარმოებდეს თანდართული ოქმის შესაბამისად, რომელიც ამ შეთანხმების შემადგენელი ნაწილია.

იმაში, რაც არ ეხება თევზის რეწვას, ნორვეგიის მოქალაქენი და ხომალდები, საბჭოთა ტერიტორიულ წყლებში მყოფნი, ემორჩილებიან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონებსა და დადგენილებებს ამ წყლებში საზღვარგარეთის მოქალაქეებისა და ხომალდების ყოფნის შესახებ, ამ შეთანხმების დებულებათა დაცვით.

ზემოხსენებული კანონები და დადგენილებები, აგრეთვე მათი ცვლილებები და დამატებები ნორვეგიის სამეფოს მთავრობას ეცნობება დიპლომატიური გზით.

მუხლი V

უკეთეს 1970 წლის 31 ოქტომბრამდე, რა დროსაც არ უნდა იყოს, შეთანხმების დამდები რომელიმე მთავრობა მიიჩნევს, რომ რადიკალურად შეიცვა-

* რუკა თან ერთვის შეთანხმების დედანს.

ლა ჩასიათი თევზის რეწვისა, რომელსაც მეორე მხარის ხომალდები ეწვევან ამ შეთანხმების II და III მუხლებით გათვალისწინებულ ზონებში, დაინტერესებულ მთავრობას ამის შესახებ შეუძლია საკითხი დასვას მეორე მთავრობის წინაშე და ისინი ერთად განიხილავენ შექმნილ მდგომარეობას.

მუხლი VI

უკერუ ამ შეთანხმების II და III მუხლებით გათვალისწინებულ ზონებში ადგილი ექნება ერთი მხარის მეთევზეთა კუთვნილი თევზსაჭერი იარაღების დაზიანებას მეორე მხარის მეთევზეთა ბრალით, ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნები განხილული იქნება თევზსაჭერი იარაღების დაზიანებასთან დაკავშირებული პრეტენზიების რეგულირების წესის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და ნორვეგიის სამეფოს მთავრობას შორის 1959 წლის 9 დეკემბერს დადებული შეთანხმების შესაბამისად.

მუხლი VII

შეთანხმების დამდები მხარეები სათანადო ზომებს მიიღებენ იმისათვის, რომ უზრუნველყონ ამ შეთანხმების დებულებათა შესრულება თავ-თავიანთ ტერიტორიებზე რეგისტრირებული საკუთარი მოქალაქეებისა და ხომალდების მხრივ.

მუხლი VIII

ეს შეთანხმება რატიფიცირებულ უნდა იქნას. სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა უნდა მოხდეს რაც შეიძლება მალე ოსლოში, და შეთანხმება ძალაში შევა ასეთი გაცვლის დღეს.

შედგენილია მოსკოვში 1962 წლის 16 აპრილს ორ ცალად, თითოეული რუსულ და ნორვეგიულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

რის დასადასტურებლადაც ქვემოთ ხელისმომწერებმა, თავ-თავიანთი მთავრობების მიერ ამაზე სათანადო რწმუნებებით აღჭურვილებმა, ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას.

საბჭოთა სოციალისტური
რესპუბლიკების კავშირის
მთავრობის რწმუნებით
მ. სუსლორჟინაძე.

ნორვეგიის სამეფოს
მთავრობის რწმუნებით
ფ. იაპოზხანი.

* * *

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1962 წლის 22 ივნისს;

ნორვეგიის სტორტინგის მიერ — 1962 წლის 19 ივნისს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა ოსლოში 1962 წლის 1 აგვისტოს,

სოციალური რეგისტრაციისა და გამოცნობის წესი

მუხლი I

1. შეთანხმების დამდები თითოეული მხარის სოციალური რეგისტრირებული უნდა იყოს იმ ქვეყანაში მოქმედი წესების შესაბამისად, რომლის დროშითაც ცურავენ ეს სოციალური რეგისტრირებული.

2. შეთანხმების დამდები თითოეული მხარის კომპეტენტური ხელი--სუფალნი განსაზღვრავენ თითო ან მეტ გამოსაცნობ ასოს და ნომრების თანმიმდევრულ სერიას სოციალურების მიწერის ყოველი ნავსადგურისათვის ან სა-ნაპირო რაიონისათვის.

3. შეთანხმების დამდები მხარეები ერთმანეთს შეატყობინებენ ამ გამოსაცნობი ნიშნების წესებს და აცნობებენ მასში შეტანილ ყოველგვარ ცვლილებას, რომლებიც შეიძლება მოხდეს შემდგომში.

მუხლი 2

1. თითოეულ სოციალურ კორპუსის გარე მხარეზე უნდა ჰქონდეს მკაფიოდ დასაბამი გამოსაცნობი ნიშნები ასოს ან ასოების სახით, ნომერი, რომლითაც რეგისტრირებულია სოციალური, აგრეთვე მიწერის ნავსადგურის სახელწოდება და თავისი სახელწოდება.

2. მცირე სოციალური და ყველა თევსაჭერი იარაღი გამოსაცნობად დანიშნული უნდა იყოს საკმაოდ მკაფიო და მსხვილი ასოთი ან ასოებით, აგრეთვე იმ სოციალურის ნომრით, რომელსაც ეს იარაღები ეკუთვნის. ბადეებისა და თევსაჭერი სხვა იარაღების კუთვნილება, ამის გარდა, შეიძლება განისაზღვროს განსაკუთრებული ნიშნებით.

3. აკრძალულია ამ მუხლის I პუნქტში ჩამოთვლილი გამოსაცნობი ნიშნების წაშლა, შეცვლა, გაბუნდოვანება ან დაფარვა, ანდა სოციალურის ეროვნული კუთვნილების დამალვა.

მუხლი 3

1. თითოეული სოციალურის კაპიტანს თან უნდა ჰქონდეს მისი ქვეყნის კომპეტენტური ხელისუფალთა მიერ გაცემული სოციალურის ეროვნული კუთვნილების დამადასტურებელი ოფიციალური საბუთი.

ამ საბუთში ნაჩვენები უნდა იყოს ასო ან ასოები, აგრეთვე სოციალურის ნომერი, მფლობელის სახელი და მოქალაქეობა, ანდა სოციალურის მფლობელი ფირმის ან კომპანიის დასახელება, აგრეთვე სოციალურის ზუსტი აღწერილობა.

2. თითოეულ ხომალდზე უნდა იყოს ამა თუ იმ ქვეყნის კომპეტენტურ ხელისუფალთა მიერ შედგენილი ხომალდის როლი, რომელშიც ნაჩვენებია უნდა იყოს ხომალდზე მყოფ პირთა სახელი, მოქალაქეობა და საცხოვრებელი ადგილი.

მუხლი 4

ამ აქტის 1, 2 და 3 მუხლების დებულებათა შესრულების ზედამხედველობა განეკუთვნება იმ ქვეყნის ხელისუფალთა კომპეტენციას, რომელსაც ეკუთვნის ხომალდი. შეთანხმების დამდები თითოეული მხარის თევზჭერის დაცვის ხომალდთა კაპიტნები ერთმანეთს აცნობებენ შეთანხმების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ხომალდების მიერ ამ დებულებათა დარღვევის თითოეულ შემთხვევას.

თ ა ვ ი II

რეწვის წარმოების წესი

მუხლი 5

ხომალდები, მისულნი რეწვის ადგილზე, სადაც უკვე სხვა ხომალდებს დაუწყიათ თევზის ჭერა ან დაუგიათ თავიანთი ბადეები, არ უნდა დადგნენ ისე, არ უნდა დააგონ თავიანთი იარუსები, ბადეები, ტივტივები, სხვა თევზსაჭერი იარაღები ისეთნაირად, რომ მიმდინარე რეწვას ხელი შეუშალონ ან დააბრკოლონ იგი.

მუხლი 6

არც ერთმა ხომალდმა არ უნდა ჩაუშვას ღუზა, არც ერთი ხომალდი არ უნდა იდგეს ღუზაზე მზის ჩასვლიდან მზის ამოსვლამდე იმ სარეწო უბნებზე, სადაც ამ დროს მიმდინარეობს დიდტერული ჭერა, თუ ეს გამოწვეული არ არის უბედური შემთხვევით, აგარიით ან ხომალდისაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებებით.

მუხლი 7

1. დასაგებ ბადეებს და იარუსების წყებას დღისით ორივე ბოლოში უნდა ჰქონდეს ტივტივები აღმებით, ხოლო ღამით — ტივტივები სინათლით. ეს ტივტივები საკმაოდ ნათლად უნდა ჩანდნენ სულ ცოტა ორი მილის მანძილზე მაინც.

2. ამ მუხლის I პუნქტში მოხსენიებულ თევზსაჭერ იარაღებზე, რომელთა სიგრძე ერთ მილს აღემატება, დამატებითი ტივტივა აღმით ან სინათლით უნდა დაიდგას სულ დიდი ერთი მილის მანძილზე ერთმანეთისაგან.

3. ხომალდზე დასამაგრებელ თევზსაჭერ იარაღებზე, მოხსენიებულზე ამ მუხლის I პუნქტში, ხომალდზე მიმაგრებულ ბოლოზე ალმინი ან სინკოპიტი ტიტივას დაყენება სავალდებულო არ არის.

მუხლი 8

1. ტრაულერებმა ყველა საჭირო ზომა უნდა მიიღონ დაგებული ბადეებისა და იარუსების წყების გვერდის ასავლელად იმ მიზნით, რომ თავიდან აიცილონ მათი დაზიანება. განსაკუთრებით უნდა მოერიდონ ორ ტიტივას შორის ტრალით ჭერას.

2. არც ერთი ხომალდი არ უნდა მოებას ან გამოედოს მეორე ხომალდის კუთვნილ ბადეს, ტიტივას, ქერქეჭელას ან თევზსაჭერი იარაღის რომელიმე ნაწილს.

მუხლი 9

უკეთუ დამტკიცებულ იქნება, რომ ტრაულერმა დააზიანა ბადეები ან იარუსების წყება, პასუხისმგებლობა ეკისრება ამ ტრაულერს, თუ იგი არ დაამტკიცებს:

a) რომ ზიანი მიყენებულ იქნა მისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო;

b) რომ ზიანის მიყენება მისი ბრალი არ არის;

c) რომ ტრაულერი მოქმედებდა ამ ოქმის 5, 6, 7, და 8 მუხლების დებულებათა შესაბამისად და ყველაფერი შესაძლო გააკეთა დაზიანების თავიდან ასაცილებლად; ანდა

d) რომ დაზიანებული თევზსაჭერი იარაღის მფლობელმა ხომალდმა დაარღვია ამ ოქმის 5, 6, 7 და 8 მუხლების დებულებანი, და ამან გამოიწვია ზარალი.

მუხლი 10

1. უკეთუ ერთმანეთს გადაეხლართება სხვადასხვა ხომალდის ბადეები, ისინი არ უნდა გადაჭრან ორივე მხარის თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მათი განცალკევება სხვაგვარად შეუძლებელია.

2. უკეთუ იარუსით ჭერის დროს ერთი ხომალდის იარაღები გადაეხლართა მეორე ხომალდის იარაღებს, იარუსების წყების ამომღებმა ხომალდმა არ უნდა გადაჭრას სხვისი იარაღები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მათი განცალკევება სხვანაირად შეუძლებელია, მაგრამ მაშინ გადაჭრილი იარუსები დაუყოვნებლივ უნდა იქნას გადაბმული, თუ კი ეს შესაძლებელია.

3. გადარჩენის შემთხვევებისა და ამ მუხლის 1 და 2 პუნქტებში ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა არც ერთმა ხომალდმა არ უნდა გადაჭრას, არც ერთი ხომალდი არ უნდა გამოედოს, არც ერთმა ხომალდმა არ უნდა ამოიღოს

თევზსაჭერი იარაღები, რომლებიც მას არ ეკუთვნის, ანდა საპატიო გარემოებათა გარეშე არ უნდა დააზიანოს ისინი.

4. უკეთუ ხომალდი დახლართავს ან სხვა გზით მოშლის თევზსაჭერს, რომლებიც მას არ ეკუთვნის, იგი ვალდებულია ყველა ზომა მიიღოს, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს მის მიერ მიყენებული ზიანი, თავის მხრივ აღნიშნული თევზსაჭერი იარაღების მფლობელი ხომალდი უნდა მოერიდოს ისეთ მოქმედებას, რომელსაც შეუძლია გაადიდოს ზიანი.

მუხლი 11

ზღვაში აღმოჩენილი და გადარჩენილი ყველა ხომალდი, მათი აღკაზმულობა, ტაკელაჟი, თევზსაჭერი აღჭურვილობა და იარაღი შეძლებისდაგვარად მალე უნდა გადაეცეს კომპეტენტურ ხელისუფალთ პირველსავე ნავსადგურში შეთანხმების დამდები მხარის ტერიტორიაზე, სადაც შევა მაშველი ხომალდი.

ზემოაღნიშნულმა ხელისუფლებმა ამის შესახებ უნდა აცნობონ, თუ გარემოებანი ამის საშუალებას იძლევიან, გადარჩენილი ქონების მეპატრონე ქვეყნის საკონსულო წარმომადგენლობას. ქონება უნდა დაუბრუნდეს მეპატრონეს ან მის წარმომადგენელს, როგორც კი იგი გამოთხოვილ იქნება, მაშველი ხომალდის ინტერესები გარანტირებულ იქნება სათანადოდ.

მაშველი ხომალდის ჯილდოს ოდენობას განსაზღვრავენ იმ ქვეყნის ხელისუფალნი, სადაც მოხდა გადარჩენილი ქონების გადაცემა.

მუხლი 12

არც ერთმა ხომალდმა, გარდა უბედური შემთხვევებისა, არ უნდა გადაყაროს ზღვაში თევზსაჭერი იარაღი, სარეწი აღჭურვილობა და სხვა საგნები, რომლებსაც შეუძლიათ გააძნელონ რეწვა ან დააზიანონ თევზსაჭერი იარაღები.

თ ა ვ ი III

მეთევზეობაზე ზედამხედველობის წესი

მუხლი 13

1. ამ ოქმის II თავის დებულებათა შესრულების ზედამხედველობას ზონაში, რომელიც მოხსენიებულია შეთანხმების II მუხლში, განახორციელებენ თევზჭერის დაცვის ნორვეგიის ხომალდები.

2. ამ ოქმის II თავის დებულებათა შესრულების ზედამხედველობას ზონაში, რომელიც მოხსენიებულია შეთანხმების III მუხლში, განახორციელებენ თევზჭერის დაცვის საბჭოთა ხომალდები.

3. ამ მუხლის 1 და 2 პუნქტებში მოხსენიებული ხომალდების კაპიტნებს უნდა ჰქონდეთ რეწვის წარმოების ზედამხედველობის უფლების მოწმობა რუსულ და ნორვეგიულ ენებზე, გაცემული შეთანხმების დამდები შესაბამისი მხარის კომპეტენტურ ხელისუფალთა მიერ.



როცა 13 მუხლის 1 და 2 პუნქტებში მოხსენიებული ხომალდის საფუძველი აქვს მიიჩნიოს, რომ შეთანხმების დამდები მეორე მხარის ხომალდ-მა დაარღვია ამ ოქმის II თავის დებულებანი, მას ან მის წარმომადგენლებს შეუძლიათ ავიდნენ ამ ხომალდზე და გასინჯონ იგი იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია საჭირო მტკიცების მოსაძებნად.

თევზჭერის დაცვის ხომალდის კაპიტანი ან მისი წარმომადგენლები გასა-სინჯ ხომალდებზე არ უნდა იმყოფებოდნენ იმაზე მეტ ხანს, რაც საჭიროა გა-სინჯვის ჩასატარებლად,

მუხლი 15

1. როცა ხომალდი, რომელიც ეკუთვნის შეთანხმების დამდებ მეორე მხა-რეს, ისინჯება. თევზჭერის დაცვის ხომალდის კაპიტანი რუსულ ან ნორ-ვეგიულ ენაზე ადგენს აქტს გასინჯვის მიზეზების და შედეგების შესახებ.

თუ გასინჯვის შედეგად დადგენილი იქნება თევზსაჭერი ხომალდის მიერ ამ ოქმის II თავის დებულებათა დარღვევის ფაქტი, შეთანხმების დამდები ის მხარე, რომლის წარმომადგენლებმაც აღმოაჩინეს დარღვევა, ამას შეატყობი-ნებს შეთანხმების დამდებ მეორე მხარეს.

2. იმ თევზსაჭერი ხომალდის კაპიტანს, რომელსაც ბრალი ედება ამ ოქმის II თავის დებულებათა დარღვევაში, და მოწმეებს უფლება აქვთ შეიტანონ აქტში შენიშვნები თავიანთ ენაზე და ასეთ შენიშვნებს მათ ხელი უნდა მოა-წერონ.

მოსკოვი, 1962 წლის 22 თებერვალი

ბ ა ტ ო ნ ო დ ე ლ ე გ ა ც ი ა ს ხ ე ლ მ ძ დ ვ ა ნ ე ლ ო,

ამით პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლი-კების კავშირის მთავრობა ნორვეგიაში რეგისტრირებულ თევზსაჭერ ხომალ-დებს, რომლებზეც ნორვეგიელთაგან შემდგარი ეკიპაჟი იმყოფება, ნებას რთავს აწარმოონ თევზის რეწვა თევზჭერის შესახებ საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის 1962 წლის 22 თებერვალს პარაფირებული შეთანხმების დებულებათა შესაბა-მისად საბჭოთა ტერიტორიულ წყლებში; თევზჭერის ზონა ნაპირიდან დაშო-რებულია 8-დან 12-მდე მილ მანძილზე და შემოფარგლულია სამხრეთ-დასავ-ლეთიდან პირდაპირი ხაზით, რომელიც აერთებს კონცხს „ნემეკვი“ კიბერგნეს კონცხთან, აღმოსავლეთიდან — მერიდიანით, რომელიც გადის კონცხზე „ნემე-კვი“, სამხრეთიდან — ხაზით, რომელიც გადის რკალზე კონცხიდან „ნემეკვი“ 8 მილ მანძილზე, როგორც ეს ნაჩვენებია აღნიშნული შეთანხმების დანართ რუკაზე. საბჭოთა კავშირის მთავრობა ნორვეგიის მოქალაქეებს ამ უფლებას

აძლევს მანამდე, სანამ საბჭოთა ხომალდებს უფლება ექნებათ აწარმოონ თევზის რეწვასთან დაკავშირებული დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები იან-მარენის კუნძულის რაიონში საწყისი ხაზიდან 4 მილის მანძილზე.

მ. სუსროჟინაძე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების
კავშირის დელეგაციის ხელმძღვანელი

ბატონ ენს ეპინენს

ნორვეგიის სამეფოს დელეგაციის
ხელმძღვანელს

ქ. მოსკოვი.

ქ. მოსკოვი, 1962 წლის 22 თებერვალი.

ბატონო დელეგაციის ხელმძღვანელო,

პატივი მაქვს დავიმოწმო ამავე თარიღის თქვენი წერილი, რომელშიც ნათქვამია:

„ამით პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა ნორვეგიაში რეგისტრირებულ თევზსაჭერ ხომალდებს, რომლებზეც ნორვეგიელთაგან შემდგარი ეკიპაჟი იმყოფება, ნებას რთავს აწარმოონ თევზის რეწვა თევზჭერის შესახებ საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის 1962 წლის 22 თებერვალს პარაფირებული შეთანხმების დებულებათა შესაბამისად საბჭოთა ტერიტორიულ წყლებში; თევზჭერის ზონა ნაპირიდან დაშორებულია 8-დან 12-მდე მილ მანძილზე და შემოფარგლულია სამხრეთ-დასავლეთიდან პირდაპირი ხაზით, რომელიც აერთებს კონცხს „ნემეცი“ კიბერგნეს კონცხთან, აღმოსავლეთიდან — მერიდიანით, რომელიც გადის კონცხზე „ნემეცი“, სამხრეთიდან — ხაზით, რომელიც გადის რკალზე კონცხიდან „ნემეცი“ 8 მილ მანძილზე, როგორც ეს საჩვენებია აღნიშნული შეთანხმების დანართ რუკაზე. საბჭოთა კავშირის მთავრობა ნორვეგიის მოქალაქეებს ამ უფლებას აძლევს მანამდე, სანამ საბჭოთა ხომალდებს უფლება ექნებათ აწარმოონ თევზის რეწვასთან დაკავშირებული დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები იან-მარენის კუნძულის რაიონში საწყისი ხაზიდან 4 მილის მანძილზე“.

გმაძღვობთ ამ ცნობისათვის, რომელსაც პარაფირებულ შეთანხმებასა და მის ოქმთან ერთად წარუდგენ ნორვეგიის კონსტიტუციურ ორგანოებს მოსაწონებლად.

ენს ეპინენსი

ნორვეგიის სამეფოს დელეგაციის
ხელმძღვანელი

ბატონ მ. სუსროჟინაძე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების
კავშირის დელეგაციის ხელმძღვანელს

ქ. მოსკოვი.



392 სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებისა და სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის იმ საკანონმდებლო აქტების ნუსხაში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლებიც ძალადაკარგულად არიან ცნობილი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებისა და სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 23 მაისის ბრძანებულებით (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1962 წ., № 22, მუხლი 226) სსრ კავშირის ძალადაკარგულად ცნობილი საკანონმდებლო აქტების ნუსხის 19 პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად „საბინაო პოლიტიკის შესახებ“ სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 4 იანვრის დადგენილები (სსრ კავშირის კან. კრ.; 1928 წ. № 6, მუხლი 49) 11 მუხლი ჩაითვალოს მოქმედად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეშნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 27 აგვისტო.

№ 426-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

393 ლაოსში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ა. ნ. აბრამოვის გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ალექსანდრე ნიკიტას ძე აბრამოვი ლაოსში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეშნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 29 აგვისტო.

№ 444-VI.



394 ლაოსში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად
ს. ა. აფანასიევის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს სერგი ალექსის ძე აფანასიევი ლაოსში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 29 აგვისტო.

№ 445-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

395 ბელგიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ს. ა. აფანასიევის გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს სერგი ალექსის ძე აფანასიევი ბელგიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 29 აგვისტო.

№ 446-VI.

ბანუოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

396 საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალწვილიანი დედაებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. ახმედ ყუზი ახმარს — დიასახლისს, ქალაქი თბილისი.
2. ამალია ამაიაკის ასულ ბასოიანს — დიასახლისს, აფხაზეთის ასსრ გარის რაიონის სოფელი ალახაძი.
3. ზეინაბ რამიზის ასულ ბოლქვაძეს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ხულოს რაიონის სოფელი თხილვანა.

4. არაქსი ტიგრანის ასულ ვართანანს — დიასახლისს, წალკის რაიონის სოფელი ტაზახარაბა.

5. ბაცუ კოსტას ასულ გულბანს — გენცევის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აფხაზეთის ასსრ სოხუმის რაიონი.

6. მერიემ ჰუსეინის ასულ კაკაბაძეს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის სოფელი ორჯონიკიძე.

7. გალინა მელიტონის ასულ ყუბანეიშვილს — ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ვანის რაიონი.

8. ზეჟე მემედის ასულ ოხანაძეს — ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აჭარის ასსრ ბათუმის რაიონი.

9. თამარ ანდრეას ასულ სოხელიას — დიასახლისს, ქალაქი ზუგდიდი.

10. კლავდია გიორგის ასულ შუბითიძეს — კოლმეურნეს, აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის სოფელი კოჩარა.

11. ყენია ავედისის ასულ იაზიჯიანს — შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 27 აგვისტო.

№ 428-VI.

ბრძანებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

397 პარფანასოვ ბ. ბ. მკორძვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დამსახურებისათვის საბჭოთა სამედიცინო მეცნიერების განვითარების დარგში და დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით პროფესორ ბორის გრიგოლის ძე მკორძვი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 6 სექტემბერი.

№ 450-VI.

ბრძანებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

398 მოლდაგეთის სსრ მცენებარებათა აკადემიის პრეზიდენტის ი. ს. გროსულის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დამსახურებისათვის რესპუბლიკის მეცნიერების ორგანიზაციასა და განვითარებაში და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით მოლდა-

ვეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი იაკიმ სერგის ძე გროსულნი
დაკვილოვდეს ლენინის ორდენით.



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეშნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 7 სექტემბერი.

№ 451-VI.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრედიტის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრედიტის

399 საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამარ-
თლის საპროცესო კოდექსიში ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25 მუხლის მეოთხე
ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავისუფლების აღკვეთა საპრობილეში მოთავსებით სასჯელის მთელი
ვადით ან ნაწილობრივ სასამართლოს შეუძლია შეუფარდოს განსაკუთრებით
საშიშ რეკიდვისტებს, იმ პირებს, რომლებიც მსჯავრდებული არიან განსაკუ-
თრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულისათვის (65-74 მუხლები), აგრეთვე
მსჯავრდებულებს, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა არა
ნაკლებ ხუთი წლისა შემდეგი მძიმე დანაშაულისათვის:

ბანდიტიზმისათვის (მუხლი 78), მოქმედებისათვის, რასაც დეზორგანიზა-
ცია შეაქვს შრომაგასწორების დაწესებულებათა მუშაობაში (მუხლი 78¹),
მასობრივი არეულობისათვის (მუხლი 80), მიმოსვლის გზებისა და სატრანს-
პორტო საშუალებების დაზიანებისათვის (მუხლი 87), ყალბი ფულის ან ფასია-
ნი ქაღალდების დამზადებისა და გასაღებისათვის (მუხლი 88), სავალუტო ოპე-
რაციების წესების დარღვევისათვის (მუხლი 89), სახელმწიფო ან საზოგადოე-
ბრივი ქონების დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცებისათვის
(91 მუხლის მესამე ნაწილი, 92 მუხლის მესამე ნაწილი, 93 მუხლის მესამე
ნაწილი, 94 მუხლის მესამე ნაწილი, მუხლი 96¹), გაძარცვისათვის დამამძიმე-
ბელ გარემოებებში (92 მუხლის მეორე ნაწილი, 151 მუხლის მეორე ნაწილი),
ყაჩაღობისათვის (96, 152 მუხლები), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონე-

ბის ან მოქალაქეთა პირადი ქონების განზრახ განადგურების ან დაზიანებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (100 მუხლის მეორე ნაწილი, 157 მუხლის მეორე ნაწილი), განზრახ მკვლელობისათვის (104, 105 მუხლები), სხეულისათვის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის (მუხლი 110), გაუპატიურებისათვის (მუხლი 117), სპეკულაციისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (165 მუხლის მეორე ნაწილი), ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (187 მუხლის მეორე და მესამე ნაწილი), ქრთამის აღებისათვის, მექრთამეობაში შუამავლობისა და ქრთამის მიცემისათვის 189, 189¹, 190 მუხლები), უდანაშაულო პირის შეგნებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (192 მუხლის მეორე ნაწილი), წინასწარი შეცნობით უკანონო განაჩენის, გადაწყვეტილების, განჩინების ან დადგენილების გამოტანისათვის, რასაც მძიმე შედეგები მოჰყვა (193 მუხლის მეორე ნაწილი), ჩვენების მიცემის იძულებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (195 მუხლის მეორე ნაწილი), მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისათვის (მუხლი 209¹), ბოროტი ხულიგნობისათვის (228 მუხლის მეორე ნაწილი), ურჩობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (256 მუხლის „ბ“, „გ“ პუნქტები), უფროსისათვის წინააღმდეგობის გაწევის ან მისი იძულებისათვის დაარღვიოს სამსახურებრივი მოვალეობა (მუხლი 258) უფროსის მიმართ ძალმომრეობითი მოქმედებისათვის (მუხლი 260), დეზერტირობისათვის (მუხლი 265), სამხედრო ქონების განზრახ განადგურების ან დაზიანებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (269 მუხლის „ბ“, „გ“ პუნქტები), რადიოტექნიკურ საგუშაგოებზე და მორიგე ქვეგანაყოფებში სამსახურის შესრულების წესების დარღვევისათვის მუხლი 275)“.

2. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 44 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 44. განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი

განსაკუთრებით საშიში რეციდივისტად სასამართლოს განაჩენით შეიძლება ცნობილ იქნას:

1) პირი, რომელიც წინათ მსჯავრდებული იყო განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის (65-74 მუხლები), ბანდიტიზმისათვის (მუხლი 78), ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების გასაღების მიზნით დამზადების ან გასაღებისათვის (მუხლი 88), სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევისათვის (მუხლი 89), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცებისათვის (91 მუხლის მესამე ნაწილი, 92 მუხლის მესამე ნაწილი, 93 მუხლის მესამე ნაწილი, 94 მუხლის მესამე ნაწილი, მუხლი 96¹), ყაჩაღობისათვის (96, 152 მუხლები), განზრახ მკვლელობისათვის (104, 105 მუხლები, 258 მუხლის „გ“ პუნქტი), სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის (მუხლი 110), გაუპატიურებისათვის (მუხლი 117), ქრთამის აღებისათვის, მექრთამეობაში შუამავლობისა და ქრთამის მიცემისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (189 მუხლის მეორე ნაწილი, 189¹ მუხლის მეორე ნაწილი, 190 მუხლის მეორე ნაწილი), მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისათვის (მუხლი 209¹), და რომელმაც კვლავ ჩაიდინა რო-

მელიმე ზემოთ დასახელებული დანაშაული, იმისდა მიუხედავად, თუ ამ დანაშაულთაგან, რომლისათვის იყო ეს პირი მსჯავრდებული პირველად;

2) პირი, რომელიც მსჯავრდებული იყო სამჯერ რომელიც გინდობის დევრობით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის ქურდობით (მუხლი 91), გაძარცვით (მუხლი 92) და თაღლითობით (მუხლი 93); აგრეთვე პირადი საკუთრების გატაცებისათვის ქურდობით (მუხლი 150), გაძარცვით (მუხლი 151), თაღლითობით (მუხლი 153); სპეკულაციისათვის (მუხლი 165), წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შექცენის ან გასაღებისათვის, რომელიც ჩადენილია ხელობის სახით ან დიდი ოდენობით (229 მუხლის მეორე ნაწილი); ბოროტი ხულიგნობისათვის (228 მუხლის მეორე ნაწილი), ან მსჯავრდებული იყო ორჯერ მინც რომელიმე ამ დანაშაულისათვის და ერთჯერ იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩამოთვლილია ამ მუხლის პირველი ნაწილის პირველ პუნქტში, და ამის შემდეგ მან კვლავ ჩაიდინა რომელიმე იმ დანაშაულთაგანი, რომელიც დასახელებულია ამ მუხლის პირველი ნაწილის პირველ და მეორე პუნქტებში;

3) პირი, რომელიც იხდის რა სასჯელს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, ჩაიდენს მძიმე დანაშაულს, რაც აღნიშნულია ამ კოდექსის 25 მუხლის მეოთხე ნაწილში თუ ამისათვის მსჯავრდებული იყო თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ ხუთი წლისა, ან ჩაიდენს განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულს.

პირის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო მხედველობაში მიიღებს ჩადენილ დანაშაულის ხასიათსა და საზოგადოებრივ საშიშროებას, დამნაშავეს პიროვნებასა და საქმის გარემოებას.

პირის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობის საფუძვლად არ შეიძლება ჩაითვალოს ნასამართლობა იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია თვრამეტი წლის ასაკის მიღწევამდე, ან ნასამართლობა, რომელიც მოხსნილია ან დაფარულია კანონით დადგენილი წესით.

3. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 54. სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება და სასჯელის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით

თუ მსჯავრდებულმა, რომელსაც მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა, გამასწორებელი სამუშაო, გადასახლება, გასახლება ან სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნა, სანიმუშო ყოფაქცევითა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცა თავისი გამოსწორება, მის მიმართ სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს, სასჯელის დანიშნული ვადის სულ ცოტა ნახევრის ფაქტიურად მოხდის შემდეგ, სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით. ამასთან მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს აგრეთვე შემდეგი სახის დამატებითი სასჯელისაგან: გადასახლების, გასახლების ან გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევისაგან.

ვადამდე პირობით გათავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით შეიძლება გამოყენებულ იქნას სასჯელის აღსრულების მიერ დანიშნული ვადის არა ნაკლებ ორი მესამედის ფაქტიურად შემდეგ იმ პირობით, რომელიც მსჯავრდებული არიან თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ხუთი წლისა შემდეგი მძიმე დანაშაულისათვის: მასობრივი არეულობისათვის (მუხლი 80), მიმოსვლის გზებისა და სატრანსპორტო საშუალებების დაზიანებისათვის (მუხლი 87), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დიდი ოდენობით გატაცებისათვის (91 მუხლის მესამე ნაწილი, 92 მუხლის მესამე ნაწილი, 93 მუხლის მესამე ნაწილი, 94 მუხლის მესამე ნაწილი), გაძარცვისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (92 მუხლის მეორე ნაწილი, 151 მუხლის მეორე ნაწილი), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ან მოქალაქეთა პირადი ქონების განზრახ განადგურების ან დაზიანებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (100 მუხლის მეორე ნაწილი, 157 მუხლის მეორე ნაწილი), განზრახ მკვლელობისათვის (მუხლი 105), სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის (მუხლი 110), გაუპატიურებისათვის (117 მუხლის პირველი და მეორე ნაწილი), სექსუალური დამამძიმებელ გარემოებებში (165 მუხლის მეორე ნაწილი), ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (187 მუხლის მეორე და მესამე ნაწილი), ქრთამის აღებისათვის, მექრთამეობაში შუამავლობისა და ქრთამის მიცემისათვის (189 მუხლის პირველი ნაწილი, 189¹ მუხლის პირველი ნაწილი, 190 მუხლის პირველი ნაწილი), უდანაშაულო პირის შეგნებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (192 მუხლის მეორე ნაწილი), უკანონო განაჩენის, გადაწყვეტილების, განჩინების ან დადგენილების გამოტანისათვის, რასაც მძიმე შედეგები მოჰყვა (193 მუხლის მეორე ნაწილი), ჩვენების მიცემის იძულებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (195 მუხლის მეორე ნაწილი), მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისათვის დამამძიმებელ გარემოებების გარეშე (მუხლი 209¹), ბოროტი ხულიგნობისათვის (228 მუხლის მეორე ნაწილი), ურჩობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (256 მუხლის „ბ“, „გ“ პუნქტები), უფროსისათვის წინააღმდეგობის გაწევის ან მისი იძულებისათვის დაარღვიოს სამსახურებრივი მოვალეობა (მუხლი 258), უფროსის მიმართ ძალმომრეობითი მოქმედებისათვის (მუხლი 260), დეზერტირობისათვის (მუხლი 265), სამხედრო ქონების განზრახ განადგურების ან დაზიანებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (269 მუხლის „ბ“, „გ“ პუნქტები), რადიოტექნიკურ საგუშავოებზე და მორიგე ქვეგანაყოფებში სამსახურის შესრულების წესების დარღვევისათვის (მუხლი 275).

თუ იმ პირობა, რომლის მიმართ გამოყენებული იყო ვადამდე პირობით გათავისუფლება, სასჯელის მოუხდელი ნაწილის განმავლობაში ჩაიდინა ახალი იმავე გვარის ან არა ნაკლებ მძიმე დანაშაული, სასამართლოს შეუძლია ახალი დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელს მთლიანად ან ნაწილობრივ მიუმატოს წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი, იხელმძღვანელებს რა ამ კოდექსის 42 მუხლში დადგენილი წესებით.

ვადამდე პირობით გათავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით არ გამოიყენება:



1) განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტების მიმართ (მუხლი 44);
2) იმ პირების მიმართ, რომლებიც ადრე ვადამდე პირობით გათავისუფლებულ იქნენ თავისუფლების აღკვეთისაგან, ან რომელთაც სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალათ უფრო მსუბუქი სასჯელით, თუ მათ სასჯელის მოუხდელი ვადის ვასვლამდე ჩაიდინეს ახალი განზრახ დანაშაული, რომლისთვისაც მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა;

3) იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულისათვის (65-74 მუხლები), ბანდიტიზმისათვის (მუხლი 78), იმ მოქმედებისათვის, რასაც დეზორგანიზაცია შეაქვს შრომა-განწორების დაწესებულებათა მუშაობაში (მუხლი 78¹), ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადებისა და გასაღებისათვის (მუხლი 88), სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევისათვის (მუხლი 89), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცებისათვის (მუხლი 96¹), განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (მუხლი 104. 258 მუხლის „გ“ პუნქტი), გაუპატიურებისათვის, რომელიც ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ ან რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა, აგრეთვე არასრულწლოვანის გაუპატიურებისათვის (117 მუხლის შესამე ნაწილი), ყაჩაღობისათვის (96, 152 მუხლები), ქრთამის აღებისათვის, მექრთამეობაში შაუმაგლობისა და ქრთამის მიცემისათვის, რაც ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში (189 მუხლის მეორე ნაწილი, 189¹ მუხლის მეორე ნაწილი, 190 მუხლის მეორე ნაწილი), მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისათვის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას მათ-სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, რაც ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში (მუხლი 209¹)“.

4. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 375 მუხლის შესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თუ სასამართლო უარს იტყვის სასჯელისაგან ვადამდე ან პირობით — ვადამდე გათავისუფლებაზე ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლაზე, განმეორებით ამ საკითხზე წარდგინების განხილვას შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებიც გასამართლებული არიან საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 80, 87, 91, მ. ნაწ. II და III, 92 მ. ნაწ. II და III, 93 მ. ნაწ. II და III, 94 მ. ნაწ. II და III, 97 მ. ნაწ. II, 110, 117 მ. ნაწ. II, 150 მ. ნაწ. II, 151 მ. ნაწ. II, 189 მ. ნაწ. I, 189¹ მ. ნაწ. I, 190 მ. ნაწ. I, 209¹, 256 მ. პ. „ბ“, 260 მუხლებით არა ნაკლებ ერთი წლის შემდეგ უარის თქმის შესახებ განჩინების გამოტანის დღიდან, ხოლო დანარჩენ მსჯავრდებულთა მიმართ — არა ნაკლებ ექვსი თვის შემდეგ“.

5. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 376 მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თუ სასამართლო უარს იტყვის შეიცვალოს საპრობილეში მოთავსება შრომა-განწორების კოლონიაში თავისუფლების აღკვეთის მოხდით, განმეორე-

ბით ამ საკითხზე წარდგინების განხილვას შეიძლება ადგილი ჰქონდეს განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტების და იმ პირთა მიმართ, რომლებიც მართლებული არიან საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 78, 78¹, 80, 87, 88, მ. ნაწ. II, 89 მ. ნაწ. II, 91 მ. ნაწ. III, 92 მ. ნაწ. II და III, 93 მ. ნაწ. III, 94 მ. ნაწ. III, 96, 96¹, 104, 110, 117, 151 მ. ნაწ. II და III, 152, 189, 189¹ მ. ნაწ. II, 190 მ. ნაწ. II, 209¹, 256 მ. პ. „ბ“, 260 მუხლებით არა ნაკლებ ერთი წლის შემდეგ უარის თქმის შესახებ განჩინების გამოტანის დღიდან, ხოლო დანარჩენ მსჯავრდებულთა მიმართ — არა ნაკლებ ექვსი თვის შემდეგ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწინძია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბელდიუაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 7 სექტემბერი.

1

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

400 მ. თბილისის ორჯონიძის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის ამხ. ბ. ყ. იოსავას გათავისუფლებისა და ახალი მოსამართლის არჩევნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. გათავისუფლდეს ამხ. გიორგი ყირიმის ძე იოსავა ქ. თბილისის ორჯონიძის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის თანამდებობისაგან სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო.

2. დაინიშნოს ქ. თბილისის ორჯონიძის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის არჩევნები 1962 წლის 7 ოქტომბერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწინძია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბელდიუაშვილი.

ქ. თბილისი 1962 წლის 7 სექტემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

401 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის შტატგარეშე ინსტრუქტორებისა და კონსულტანტების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განყოფილებების შტატგარეშე ინსტრუქტორებად და კონსულტანტებად:



1. არჭევანიძე გიორგი ილიას ძე,
2. ბასიაშვილი არტაშ ესტატეს ძე,
3. გონჯილაშვილი დავით სიმონის ძე,
4. დავითაშვილი მიხეილ დიმიტრის ძე,
5. ლომიძე გიორგი სიმონის ძე,
6. რაგიმოვი იახია ზულფუგარის ძე,
7. ქადეიშვილი შალვა მიხეილის ძე,
8. ქუჩუკაშვილი ვლადიმერ ანდრეას ძე,
9. შეროზია გრიგოლ ნესტორის ძე.

იურდიულ განყოფილებაში შტაბბარაუე კონსულტანტებად:

1. ბრაილოვსკი იოსებ აბრამის ძე,
2. გეწაძე სერგი ვარლამის ძე,
3. ერემოვი გრიგოლ არტემის ძე,
4. ზედგინიძე ალექსი ვასილის ძე,
5. თარხნიშვილი გიორგი ესტატეს ძე,
6. როსტომაშვილი ირაკლი გიორგის ძე,
7. პაპინიანი რუბენ ასატურის ძე,
8. ხითარიშვილი ევგენი პავლეს ძე,
9. ჭომარაძიძე ლევან სიმონის ძე,

დაჯილდოების განყოფილებაში შტაბბარაუე კონსულტანტებად:

1. აბრამიშვილი ივანე ალქსის ძე,
2. არაქელოვი სურენ სედრაკის ძე,
3. ასათიანი ალექსანდრე სიმონის ძე,
4. დარისპინაშვილი გიორგი ნიკოლოზის ძე,
5. დარსაძე ვარდენ ქრისტეფორეს ძე,
6. მენაბდე აკაკი იოსების ძე,
7. ძაგანია ვალერიან ბახვას ძე,
8. ჭალაღანია ლიდა ლევანის ასული.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბელაიაშვილი.

ქ. თბილისი 1962 წლის 7 სექტემბერი.

განყოფილება მიმრო

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

402 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

სახალხო განათლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სწავლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:



1. სამსონ ნიკოლოზის ძე ანჯაფარიძეს — გურჯაანის რაიონის საშუალო სკოლა-ინტერნატის დირექტორს;
2. გერონტი ჰიმენის ძე არაბიძეს — ახალციხის რაიონის სოფელ ოშორის საშუალო სკოლის მასწავლებელს;
3. კონსტანტინე აბრამის ძე ბიბილურს — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპორტული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს;
4. ვერა ლაზარეს ასულ ზოდოკიას — ქუთაისის 23-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს;
5. პროკოფი ლუარსაბის ძე ბურძგლას — თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის დირექტორის მოადგილეს;
6. ელისაბედ კონსტანტინეს ასულ გაბარაევას — პენსიონერს;
7. მიხეილ ესტატეს ძე გაგლოშვილს — ცხინვალის მე-4 საშუალო სკოლის დირექტორს;
8. პისტი დავითის ასულ გაფრინდაშვილს — საჩხერის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს;
9. ვასილ ნესტორის ძე გვენცაძეს — რუსთავის მე-5 საშუალო სკოლის მასწავლებელს;
10. კაპიტონ ნიკოლოზის ძე გიორგელიძეს — თბილისის მე-15 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს;
11. ნაზიკო ხასანის ასულ გოგიტიძეს — ბათუმის №1 სკოლა-ინტერნატის დირექტორს;
12. შოთა (ვარლამ) რაქდენის ძე დავითიას — თბილისის 35-ე საშუალო სკოლის დირექტორს;
13. თამარ გრიგოლის ასულ დუმბაძეს — ბორჯომის მეორე საშუალო სკოლის დირექტორს;
14. ნინო ანტონის ასულ ენაგელს — თბილისის № 106 საბავშვო ბაღის გამგეს;
15. სოკრატ ხარიტონის ძე ვოუბას — ოჩამჩირის რაიონის სოფელ თხინის საშუალო სკოლის დირექტორს;
16. თამარ მიხეილის ასულ იოსელიანს — რუსთავის მე-10 საშუალო სკოლის მასწავლებელს;
17. ნინო უშანგის ასულ კალანდაძეს — თბილისის მე-15 საშუალო სკოლის მასწავლებელს;
18. ბიქტორ ანტონის ძე კვარაცხელიას — ზუგდიდის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს;
19. ალექსანდრე ვასილის ძე კობიაშვილს — პენსიონერს;
20. მიხეილ კონსტანტინეს ძე კოპაძეს — ახალციხის რაიონის სოფელ უდეს საშუალო სკოლის დირექტორს;
21. ეფემია ნიკოლოზის ასულ ლაფანაშვილს — დუშეთის რაიონის სოფელ ჭოპორტის საშუალო სკოლის მასწავლებელს;

22. მარიამ ივანეს ასულ **ლაშხაურს** — თბილისის 38-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს;
23. მამია ფილიპეს ძე **მამარდაშვილს** — გეგეჭკორის სკოლა-ინტერნატის დირექტორს;
24. თამარ გიორგის ასულ **მაჭუტაძეს** — ბათუმის მე-9 საშუალო სკოლის დირექტორს;
25. მერი იასონის ასულ **მჭედლიშვილს** — გურჯაანის რაიონის სოფელ მუკუზნის საშუალო სკოლის მასწავლებელს;
26. მიხეილ ისაკის ძე **ნაკაშიძეს** — ქედის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს;
27. თამარ ბენედიქტეს ასულ **ნიჟარაძეს** — ქუთაისის № 2 საბავშვო ბაღის აღმზრდელს;
28. ალექსანდრე მიხეილის ძე **ნიქაბაძეს** — პენსიონერს;
29. ბარბარე ივანეს ასულ **იჭროპირიძეს** — გორის რაიონის სოფელ ზედდულეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს;
30. ნატალია სილოვანის ასულ **პაპიძეს** — საჩხერის საშუალო სკოლის მასწავლებელს;
31. კონსტანტინე ნესტორის ძე **პეტრიაშვილს** — ლენინგორის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს;
32. გალინა იაკობის ასულ **რუხაძეს** — წულუკიძის მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორს;
33. მარიამ სიმონის ასულ **რცხილაძეს** — პენსიონერს;
34. ალექსანდრა დავითის ასულ **სარალიძეს** — პენსიონერს;
35. ალექსანდრა იაკობის ასულ **ტოპორკოვას** — რუსთავის მე-9 საშუალო სკოლის მასწავლებელს;
36. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **უზუნაშვილს** — გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის საშუალო სკოლის მასწავლებელს;
37. იასონ გუჯას ძე **ურიდიას** — ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის საშუალო სკოლის მასწავლებელს;
38. ქეთევან ივანეს ასულ **უხურგუნაშვილს** — გორის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს;
39. ნინო კონსტანტინეს ასულ **ფავლენიშვილს** — დუშეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს;
40. ვლადიმერ ირაკლის ძე **ფირცხალაიშვილს** — სოხუმის მე-17 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს;
41. ტატიანა მინას ასულ **ფოფხაძეს** — თბილისის 62-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს;
42. ვიქტორ თევდორეს ძე **ჭურიძეს** — გორის მე-9 საშუალო სკოლის მასწავლებელს;
43. დოროთე სამსონის ძე **ჭუჩულორიას** — ზუგდიდის მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელს;

44. ალექსანდრე სოლომონის ძე **შენგელიას** — ქუთაისის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს;

45. ერმონია ზაქარიას ასულ **ჩაბიევას** — პენსიონერს;

46. შალვა ნესტორის ძე **ჩარგეიშვილს** — წულუკიძის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორს;

47. მარიამ აღმასხანის ასულ **ცინცაძეს** — დუშეთის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს;

48. დავით ავქსენტის ძე **ქანტურიას** — ზუგდიდის მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელს;

49. ნინო იოსების ასულ **ჭიჭინაძეს** — დუშეთის რაიონის სოფელ ფასანაურის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს;

50. ნადეჟდა ილარიონის ასულ **ჯავახაძეს** — ქუთაისის მე-5 საშუალო სკოლის მასწავლებელს;

51. თამარ გრიგოლის ასულ **ჯიქიძეს** — ქ. თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მასწავლებელს.

**საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების
დამსახურებული მასწავლებლისა:**

1. ვეგენი ირაკლის ძე **ტყეზუჩავას** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს განყოფილების უფროსს;

2. ბენიამინ ლუკას ძე **ფოფხაძეს** — თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის განყოფილების გამგეს.

**საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების
დამსახურებული ოსტატისა:**

პეტრე დავითის ძე **ლეჟავას** — თბილისის № 5 სპეცპროფტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწანიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ბაღდაშვილი**.

ქ. თბილისი, 1962 წლის 31 აგვისტო

განყოფილება მისამბ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა წინადადებები, წამოყენებულნი ამომრჩეველთა მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ანგარიშების ჩაბარების დროს, და თავისი 1962 წლის 7 სექ-

ტემბრის დადგენილებით გადაუგზავნა ეს წინადადებები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სათანადო რეაგირებისათვის.



1962 წლის 7 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ტრანსპორტის მუდმივი კომისიის მოხსენებითი ბარათი „ამიერ-კავკასიის რკინიგზის სატვირთო სადგურებზე ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების მექანიზაციისა და ვაგონების მოცდენის მდგომარეობის შესახებ“ და დაადგინა გაეგზავნოს იგი ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსს ამხ. გ. ი. ქადაგიძეს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. გ. ი. ჩოგოვაძეს და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის ამხ. თ. ნ. დავითაშვილს განსახილველად და მოხსენებით ბარათში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის საჭირო ზომების მისაღებად.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 7 სექტემბრის ბრძანებულებით დააჯილდოვა „სახელოვანი დედას“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით 782 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან	61
ქ. გორიდან	2
ქ. რუსთავიდან	9
ქ. ჭიათურაიდან	46
ახალქალაქის რაიონიდან	68
ახმეტის	„	24
გეგეჭკორის	„	23
გურჯაანის	„	2
დმანისის	„	18
ღუშეთის	„	23
ზუგდიდის	„	15
ზესტაფონის	„	31
თელავის	„	4
თერჯოლის	„	17
კასპის	„	16
ლაგოდეხის	„	63
მესტიის	„	9
სამგორის	„	92

სიღნაღის	”	1
საჩხერის	”	50
ტყებულის	”	8
ქარელის	”	24
ყაზბეგის	”	10
ცაგერის	”	6
ცხაკაიას	”	8
წალენჯიხის	”	23
წალკის	”	31
წყალტუბოს	”	21
სამხრეთ ოსეთის ა/ო	77.